

დენდივიდუაცის, ავტორიტეტისადმი მორჩილებისა და
ანონიმურობის კვლევა სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილ
წევრში

შიო ყანდორელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური ფსიქოლოგია

ქეთევან თოდაძე, მოწვეული ლექტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

შიო ყანდორელაშვილი 16.06.2019

აბსტრაქტი

სპეცდანიშნულების რაზმი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და გასაიდუმლოებული ტოტალიტარული ინსტიტუციაა, რომლის მუშაობის პრინციპი სხვადასხვა ფაქტორზეა დამყარებული. მშვიდობიანი მოქალაქეები მათ ქმედებებს ხშირად საზარლად და სასტიკად აღიქვამენ. საინტერესოა, რა ცვლადები ახდენენ გავლენას სპეცრაზმის წევრებზე?

ისევე, როგორც სხვა ძალოვან სტრუქტურებში, სპეცრაზმის წევრებზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დეინდივიდუალურ მდგომარეობაში ყოფნა. ზოგადად დეინდივიდუაციას ფსიქოლოგები თუ სოციოლოგები განსხვავებული პერსპექტივებიდან განიხილავენ, თუმცა ყველა თანხმდება იმაზე რომ დეინდივიდუაცია არის შეზღუდული ზრუნვა თვითშეფასებაზე, რაც შემდგომში იწვევს ინდივიდისგან თავაშვებულ, გულგრილ და აგრესიულ ქცევას.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს, თუ რა გავლენას ახდენს დეინდივიდუაციაზე ანონიმურობა (სპეცრაზმი მოქმედებს ნიღბებით) და ავტორიტეტისადმი მორჩილება, რადგან იქ მკაცრად განსაზღვრული იერარქიაა და რაზმები ასრულებენ კონკრეტული ავტორიტეტის დირექტივებს.

ნაშრომში მოყვანილია მილგრემის, ფილიპ ზიმბარდოს და დაინერის ექსპერიმენტები. აგრეთვე კარლ იუნგის, მანის როჯერსის აზრები და შეხედულებები მოცემული საკითხის ირგვლივ.

სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა სრულიად ორიგინალურია, საკვლევი კითხვის, ცვლადებისა და მეთოდითურთ, იმის გათვალისწინებით რომ მსგავს სტრუქტურებში სამოქალაქო საზოგადოებას კვლევის ჩატარებაზე ხელი არ მიუწვდებათ, თუმცაღა ინტერესი ყოველთვის დიდი იყო.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდით სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენებით. კვლევა გაგრძელდა 67 წუთის მანძილზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 34 წლის ყოფილმა სპეცრაზმელმა.

შედეგებმა აჩვენა დადებითი კორელაცია ავტორიტეტისადმი მორჩილებასა და დეინდივიდუაციას შორის და ძლიერი დადებითი კორელაცია ანონიმურობასა და დეინდივიდუაციას შორის. ამასთან გამოვლინდა კიდევ ერთი ცვლადი რომელსაც პირობითად ეწოდა „წინააღმდეგობა“ და იგი მოიაზრებდა პროვოკაციას, შეურაწყოფას და დაცინვას სპეცრაზმელთა მიმართ. აგრეთვე გამოიკვეთა არაერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ნიუანსი რომელიც ტრანსკრიპტში და კოდირებული ფრაზების ანალიზშია ასახული.

საკვანძო სიტყვები: დეინდივიდუაცია, ანონიმურობა, ავტორიტეტისადმი მორჩილება, სპეცდანიშნულების რაზმი.

Abstract

Special Forces are one of the most significant and confidential totalitarian institution. The principle of the activities they conducted vary due to different factors. Peaceful population often perceive their operations as something terrific or severe. The question is: What variables make influence on the members of the forces?

Being in deindividuated state and circumstance makes influence on the members of special forces like other law-enforcement bodies. In general, deindividuation is discussed from different perspectives by psychologists and sociologists, though everybody agrees that deindividuation is a restricted caring about self-esteem, that afterwards leads to audacious, unsympathetic and aggressive action.

Resulting from the above mentioned, the aim of the thesis is to study the influence of anonymity on deindividuation, because special forces wear masks during their operations. Herewith, subordination towards the authority is a strictly defined hierarchy and forces conduct the concrete directives given by their authorities.

The thesis deals with the experiments by Milgrim, Philip Zimbardo, and Diener. Also, the ideas and approaches by Carl Jung, Mann and Rogers around this question.

The subject of the Master's Thesis is absolutely original. Starting with the research subject and variables, together with the methods used, and as well as considering that civilian society is inaccessible to such structures, even though the interest has always been great.

The research was conducted with the qualitative method by using detailed interview. It lasted for 67 minutes, which was participated by 34-year old ex-member of the Special Forces.

The results showed positive correlation between the authority subordination and deindividuation, and strongly positive correlation between anonymity and deindividuation.

Herewith, one of the variables was revealed, which conditionally was named “opposition” and its essence was provocation, abuse and mocking on the members of the Special Forces. Numerous significant and worthy nuances were carved during the research process, which are represented in the Transcript and the Analysis of the Code Phrases.

Key words: **deindividuation, anonymity, authority subordination, special forces.**